Diana Tkebuchava
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Academic Research Coordinator, BRAMS Institute

Reaganomics: Economic Policies of the 40th President of the United States

(Abstract)

KEYWORDS: Reaganomics, Cold War, Neoliberalism, Interventionism, Reagan Doctrine, United States (USA)

During a 1975 interview on *60 Minutes*, Ronald Wilson Reagan – then a former governor of California and future president of the United States – asserted, "If fascism ever comes to America, it will come in the name of liberalism," articulating a stark formulation of his economic convictions. It is hard to gauge how far back his prescient instincts extended, yet this remark prefigured many of the ideological struggles that would come to define late twentieth-century politics.

In the 1980s, Reagan, together with PM Margaret Thatcher in Britain, spearheaded a conservative revolution that emphatically celebrated market liberalism. Both leaders, from a neoliberal vantage, affirmed the superiority of the free market and sought to curtail the reach of state intervention in economic affairs. Their agendas emphasised tax reduction, deregulation and the rollback of expansive welfare-state frameworks, reframing public policy around incentives, competition and individual initiative.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

The economic programme associated with the 40th president – commonly termed Reaganomics – is widely regarded by contemporaries and many scholars as successful in a number of respects: it coincided with notable GDP growth, subdued inflation after the volatile 1970s and a renewed confidence in private enterprise. Yet these achievements were accompanied by contested social consequences, including rising inequality and fiscal trade-offs. This study traces Reaganomics' intellectual roots, its practical enactment and its enduring influence on fiscal orthodoxy, evaluating how policy choices reshaped both the American economy and the parameters of subsequent political debate.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დიანა ტყებუჩავა
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
აკადემიური კვლევების კოორდინატორი,
ბრამსის ინსტიტუტი

„რეიგანომიკა“ – აშშ-ის მე-40 პრეზიდენტის პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივები

საკვანძო სიტყვები: რეიგანომიკა, „ცივი ომი“, რეიგანის დოქტრინა, ნეოლიბერალიზმი, ინტერვენციონალიზმი, აშშ

1975 წელს გადაცემაში „60 წუთი“, ინტერვიუს დროს კალიფორნიის ყოფილმა გუბერნატორმა და აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა, რონალდ უილსონ რეიგანმა, საკუთარ ეკონომიკურ ხედვაზე მსჯელობისას განაცხადა: „ამერიკა დგას ოთხ მთავარ ღირებულებაზე: ღმერთისადმი რწმენა, სიტყვის თავისუფლება, ოჯახის ინსტიტუტი და ეკონომიკური თავისუფლება. თუ ოდესმე ფაშიზმი მოვა ამერიკაში, იგი მოვა ლიბერალიზმის სახით“.[1]

ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტად განჭვრიტა ლამის ნახევარი საუკუნის წინათ თანამედროვე ამერიკის რეალობა XX საუკუნის ერთ-ერთმა გამორჩეულად წარმატებულმა ამერიკელმა პოლიტიკურმა ლიდერმა. ფაქტია, რომ 1980-იან წლებში მარგარეტ ტეჩერი და რონალდ რეიგანი ჩაუდგნენ სათავეში კონსერვატიულ რევოლუციას.[2] ორივე მათგანმა თავისუფალი ბაზრის უპირატესობა აღიარა და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევას (ინტერვენციონალიზმი) აღუდგა წინ.

ნეოკონსერვატიულ ცენტრებს შორის ყველაზე დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა ომის, რევოლუციისა და მშვიდობის ინსტიტუტი, ამერიკული მეწარმეობის ინსტიტუტი ვაშინგტონში და ფონდი „მემკვიდრეობა“,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა რეიგანის პრეზიდენტის აპარატთან. ასევე, კატონის ინსტიტუტი და მანჰეტენის პოლიტიკური ჯგუფის ინსტიტუტი. ამ think tank-ებმა მედიასამყაროში, განსაკუთრებით კი, ისეთ პოლიტიკურ ჟურნალებში მოიპოვა პოპულარობა, როგორიცაა „უოლ სთრით ჯორნალი“[3] და „ნეიშენალ რევიუ“.[4]

1981 წლის იანვარში რეიგანი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა think tank-თა დიდი ხელშეწყობით. მილტონ ფრიდმანის თაოსნობით, „ჩიკაგოს სკოლის“ ეკონომისტების ხელდასხმითა და ჯერი ფაუელის „მორალური უმრავლესობის“ წყალობით, რეიგანმა იმ ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება დაიწყო, რომელიც მოგვიანებით „რეიგანომიკის“ სახელწოდებით გახდა ცნობილი.[5] ეს პოლიტიკა ფედერალური ხარჯების შეკვეცას, გადასახადების შემცირებასა და საბაზრო ეკონომიკის ხელისშემშლელი შეზღუდვების გაუქმებას, კაპიტალდაბანდებებისათვის ბიძგის მიცემას და ამ გზით წლების განმავლობაში გაპარტახებული ეკონომიკის აღდგენას ისახავდა მიზნად. „კონსერვატიული რევოლუციის“ მეშვეობით, რეიგანმა მოახერხა New Deal-ის ეკონომიკური კურსის აღმოფხვრა.

საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე პირველი წარმატება რეიგანს მისი პრეზიდენტად პირველი ვადით არჩევის დღეს ხვდა წილად, რაც თეირანში ამერიკელი მძევლების გათავისუფლებას დაემთხვა.[6]

ამერიკის მე-40 პრეზიდენტის უმთავრეს მიზანს აშშ-ის მსოფლიო უპირობო ლიდერად გადაქცევა და „მესამე სამყაროში“ კომუნისტური ექსპანსიის შეჩერება წარმოადგენდა. რეიგანის დოქტრინა გულისხმობდა კომუნიზმთან საბრძოლველად მთელი ძალების მობილიზებას. მსოფლიო პოლიტიკურ ლექსიკონში სამუდამოდ დამკვიდრდა 1983 წლის 8 მარტს ორლანდოში (ფლორიდის შტატი) გამართულ ევანგელისტების ნაციონალური ასოციაციის

BRAMS 2024 Nov
Volume 5, Issue 11
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში რეიგანის ფრაზა, როცა მან საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა.[7]

აშშ-ის მე-40 პრეზიდენტის „რეიგანომიკად“ სახელდებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივები, დიდწილად, წარმატებით დაგვირგვინდა. თუმცა, მას რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზის გავლა დასჭირდა საამისოდ.

1948 წელს რონალდ რეიგანი ჰარი ტრუმენს უჭერდა მხარს და იგი საუკეთესო პრეზიდენტად მიაჩნდა: „გამორჩეული პრეზიდენტი იყო (ტრუმენი, დ.ტ.). საოცრად მახვილი გონების წყალობით პრობლემას ძირამდე ჩაჰყვებოდა და აუცილებლად გადაჭრიდა“.[8]

1964 წლის 27 ოქტომბერს რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის, ბარი გოლდუოტერის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისას, რონალდ რეიგანმა თავისი ცნობილი სიტყვით – „არჩევანის დრო“[9] უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კალიფორნიელ რესპუბლიკელებზე, გოლდუოტერს კი 1 მლნ აშშ დოლარი მოუტანა. რონალდ რეიგანისთვის ეს საჯარო გამოსვლა მისი პოპულარობის დასაწყისი და წარმატებისკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა.[10] მაშინ რეიგანი ჯერ კიდევ დემოკრატიული პარტიის წევრი იყო და რუზველტის ეკონომიკურ პროგრამას ემხრობოდა. იგი ბოლომდე დემოკრატიული აზროვნების მქონე პიროვნებად დარჩა, მაგრამ, ამის მიუხედავად, რესპუბლიკელი პრეზიდენტების: დუაიტ აიზენჰაუერისა[11] და რიჩარდ ნიქსონის[12] კამპანიას უჭერდა მხარს.[13]

კლასიკურ „ლიბერალებს“ სჯეროდათ, რომ ყოველი ინდივიდი თავისი ბედ-იღბლის წარმმართველი უნდა იყოს და კიდევ იმის სჯეროდათ, რომ საუკეთესო მთავრობა მცირერიცხოვანი მთავრობაა. ეს რწმენა ედო საფუძვლად ცხოვრების ამერიკულ წესს და ეს რწმენა კვებავდა ამერიკულ სულს.[14] როცა ახალი „ლიბერალები“ მოვიდნენ, ამ პრინციპებზე უარი განაცხადეს. მათი

BRAMS 2024 Nov
Volume 5, Issue 11
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აზრით, მთავრობა უფრო ბრძენია, ვიდრე ხალხი და, შესაბამისად, მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, რა აჯობებს ხალხისთვის. მანვე უნდა წარმართოს ხალხის ცხოვრება; უნდა უკარნახოს დიდსა და პატარა ქალაქებსა და შტატებს, რა უფლებები აქვთ და რაზე არიან პასუხისმგებელნი. ხელისუფლება იღებდა ყველა სერიოზულ გადაწყვეტილებას. ახალი ლიბერალები დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგაც წავიდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ რაც უფრო გაიზრდებოდა ხელისუფლება, ყველასთვის აჯობებდა.

„თავისუფლება არასდროს მოდის ხელისუფლებისგან“, საპირისპიროს ამტკიცებდა ვუდრო უილსონი, რუზველტის წინამორბედი და დემოკრატი, „თავისუფლების ისტორია ხელისუფლების შეზღუდვის ისტორიაა და არა – მისი განდიდების“.[15] ლიბერალ-დემოკრატებმა ამ გზიდან გადაუხვიეს. ეს აშკარად აღარ იყო თომას ჯეფერსონისა[16] და ვუდრო უილსონის[17] პარტია.

„თავისუფალი კონკურენციის წყალობით, ჩვენ ცხოვრების უმაღლეს დონეს მივაღწიეთ მსოფლიოში. ტექნიკის სფეროში მომუშავე ამერიკელი ჯადოქრები მსოფლიო გამოგონებებსა და ინოვაციებს თაოსნობდნენ. ჩვენმა სისტემამ ინდუსტრიაში ჩართულ ამერიკელებს შეუზღუდავი შესაძლებლობები მისცა, მოკრძალებული პოზიციიდან წარმატების ყველაზე მაღალ საფეხურზე ასულიყვნენ. 1960 წლისთვის საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ქვეყნის მთავარი მტერი დიდი ბიზნესი კი არა, დიდი ხელისუფლება იყო“,[18] წერდა რონალდ რეიგანი.

1966 წელს, როცა რეიგანის კანდიდატურა კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე წამოაყენეს, მისი წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი თემა იყო სოციალური პროგრამებით მოსარგებლე უსაქმურთა სამუშაოზე დაბრუნება.[19]

„რეიგანომიკად“ წოდებული მისი ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა:

1. გადასახადების შემცირებას;

BRAMS 2024 Nov
Volume 5, Issue 11
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2. ეკონომიკის ფედერალურ დერეგულაციას;
3. ფულის მასის კონტროლს ინფლაციის შესამცირებლად და ხარჯების შემცირებას (მისი პრეზიდენტობის ორი ვადის განმავლობაში ინფლაცია შემცირდა 12.5%-დან 4.4%-მდე);
4. საშინაო პოლიტიკაში შეამცირა ხარჯები და გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი.

მეორე ვადით (1984-1989) გამარჯვების შემდეგ, რონალდ რეიგანის პროგრამის ძირითადი საკითხები იყო:

1. „ცივი ომის“[20] დასრულება;
2. ირან-კონტრას[21] საქმე.

რეიგანმა იმთავითვე რადიკალურად ანტისაბჭოთა პოზიცია დაიკავა საგარეო პოლიტიკაში. თავის საჯარო გამოსვლებში არათუ ამხელდა „ბოროტების იმპერიას“, მას პოზიტიური ცვლილებებისკენ მოუწოდებდა.

ბერლინის 750-ე წლისთავთან დაკავშირებით, 1987 წლის 12 ივნისს რონალდ რეიგანმა ბრანდენბურგის კარიბჭესთან წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა, რომელშიც მიხეილ გორბაჩოვს ბერლინის კედლის დანგრევისკენ მოუწოდა: „საბჭოთა კავშირის მესვეურებს ძალუძთ ერთი ეფექტური ჟესტით რადიკალურად შეუწყონ ხელი მშვიდობისა და თავისუფლების დამკვიდრებას. გენერალურო მდივანო, ბატონო გორბაჩოვ, თუ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისათვის მშვიდობის, კეთილდღეობისა და ლიბერალიზაციის მომხრე ხართ, მობრძანდით ამ ჭიშკართან, გააღეთ იგი, ბატონო გორბაჩოვ, დაანგრიეთ ეს კედელი!“[22] ეს ისტორიულ მოწოდებად იქცა და ამერიკის მე-40 პრეზიდენტის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი შტრიხი გახდა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, აღნიშნული სიტყვები ანტიკომუნისტური რიტორიკის კულმინაციაა, რომელმაც კიდეც განაპირობა ბერლინის კედლის დაცემა ორი წლის შემდეგ.

რონალდ რეიგანი აშშ პრეზიდენტად მარგარეტ ტეჩერის ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრად დანიშვნიდან 18

BRAMS 2024 Nov ISSN 2667-9299 (print)
Volume 5, Issue 11 ISSN 2960-9348 (online)

თვის შემდეგ აირჩიეს. საყოველთაოდ ცნობილია ამ ორი პოლიტიკოსის გულითადი მეგობრობის, თანამოაზრეობისა და თანამშრომლობის შესახებ. მჭიდრო კავშირი დამყარდა მათ თანაპარტიელებსა და მრჩევლებს შორისაც, რომელთა დიდი უმრავლესობა აქტიურად იყენებდა არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციების (think tank) მეცნიერულ შედეგებსა და რეკომენდაციებს, ინტენსიურად თანამშრომლობდა ისეთ ცენტრებთან, როგორიცაა მემკვიდრეობის ფონდი,[23] რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტს[24] უკავშირდებოდა.

რონალდ რეიგანმა მარგარეტ ტეჩერისეული პოლიტიკური კურსი არა მხოლოდ იმიტომ აირჩია, რომ იზიარებდა მის პოლიტიკურ თვალთახედვას, არამედ იმიტომაც, რომ სავსებით ეთანხმებოდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დაპირისპირებულ პოზიციას საბჭოური დიქტატურისადმი. გასაკვირი არაა რეიგანისა და ტეჩერის ერთსულოვნება კომუნისტური ერთპარტიული რეჟიმისადმი მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბება-გამჟღავნების საქმეში. საბჭოური დიქტატურა და კომპარტია თავის ბოლო დღეებსა და თვეებს ითვლიდა, ფაქტობრივად, დანგრევის პირას იყო. ამ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე მიხეილ გორბაჩოვი გამოჩნდა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო გენერალური მდივანი, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბოლო თავმჯდომარე, სსრკ-ის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი.

1990 წელს მ.ს. გორბაჩოვმა ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში.[25] იგი საბჭოთა სისტემის რეფორმირების („პერესტროიკა“, იგივე, გარდაქმნა)[26] ავტორია. ამასთან ერთად, საბჭოურ სივრცეში პირველმა შემოიტანა სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება და დემოკრატიული არჩევნები. სოციალისტური ეკონომიკის რეფორმირებასაც შეეცადა. მის სახელს უკავშირდება „ცივი ომის“ დასრულება, საბჭოთა ჯარის გამოყვანა ავღანეთიდან[27] (1989), კომუნისტურ იდეოლოგიაზე,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

როგორც სახელმწიფოებრივზე, უარის თქმა, განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების დევნის შეწყვეტა და მისთ.[28]

მიხეილ გორბაჩოვმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აშშ-სა და დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის მოგვარება გადაწყვიტა. იგი იძულებულიც იყო ასე მოქცეულიყო. იმპერია ყოველმხრივი კოლაფსის მდგომარეობაში აღმოჩნდა: პოლიტიკური თუ ეკონომიკური კუთხით. მას აღარ შეეძლო შეიარაღებაზე უზარმაზარი თანხების, ლამის ბიუჯეტის მეოთხედის, ხარჯვა. ამიტომ, მორატორიუმი გამოაცხადა ბირთვული იარაღის გამოცდაზე. გორბაჩოვმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის გაერთიანებისა და „ცივი ომის“ სიმბოლოს, 156-კილომეტრიანი ბერლინის კედლის დანგრევის საქმეში, რომელსაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (გდრ) „ანტიფაშისტურ თავდაცვით კედელს“ უწოდებდნენ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (გფრ) კი „სამარცხვინო კედელს“, ვილი ბრანდტის[29] ტერმინოლოგიით. ამ პერიოდში სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე იყო, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის მთელი ამ პროცესის გონივრულად წარმართვისა და პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.[30] უცხოეთის პოლიტიკურ წრეებში უკვე საკმაოდ ავტორიტეტული და გავლენიანი პოლიტიკოსი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ქართველი მინისტრი პირველი შეხვდა აშშ-ის მე-40 პრეზიდენტს, მიხეილ გორბაჩოვზე ორი თვით ადრე და რეიგანის ნდობა და კეთილგანწყობა დაიმსახურა.

თავად ედუარდ შევარდნაძე ასე იხსენებს რონალდ რეიგანთან პირველ შეხვედრას: „1985 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში მონაწილეობა მივიღე გაეროს მეორმოცე გენერალურ ასამბლეაში... მთავარი შეხვედრა 27 სექტემბერს, ამერიკის პრეზიდენტთან, რონალდ რეიგანთან შედგა.[31] მან ჩემს პატივსაცემად საუზმე გამართა... ჩემსა და რეიგანს შორის ადამიანური ურთიერთობის პირველი ძაფები სწორედ იმ შეხვედრაზე

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გაიბა. ამერიკის ეს დიდი პრეზიდენტი მართლაც უბრალო და მომხიბლავი პიროვნება გახლდათ, ტკბილად მოუბარი და მახვილგონიერი კაცი. ამავე დროს, საბჭოთა კავშირის უმძაფრესი ოპონენტიც. სწორედ მან უწოდა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“.[32]

არცთუ მარტივი სიტუაციის მიუხედავად, დიალოგი შედგა და იგი, როგორც შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურეს, კონსტრუქციული გამოდგა. დიდებული რამაა დიპლომატია, ტაქტი, ურთიერთპატივისცემა პოლიტიკოსებისა, რომელთაც გააზრებული აქვთ პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის, ხალხის, ზოგადად, კაცობრიობის წინაშე და სიფრთხილით ეკიდებიან საკუთარ მისიას, ბოლომდე, უდანაკარგოდ გამოიყენონ „შესაძლებლის ხელოვნება“. ნიშანდობლივი და მრავლისმეტყველია ამ თვალსაზრისით „შევის“,[33] როგორც ედუარდ შევარდნაძეს ამერიკელები მოიხსენიებდნენ, დამსწრე საზოგადოებისადმი მიმართვა ამ შეხვედრის დასასრულს: „შევეცადეთ რამდენადმე შეგვემსუბუქებინა საფრთხეების, გაურკვევლობისა და განგაშის დამთრგუნველი ტვირთი, რისგანაც დაიღალა ხალხი, დაიღალა ჩვენი დედამიწა...“[34]

ამგვარად, ბრეჟნევ-სუსლოვ-ანდროპოვის „ყრუ კედლის“ შემდეგ, ამერიკისა და დასავლეთ ევროპისათვის „ბოროტების იმპერიად“ სახელდებული პოლიტიკური მონსტრის ხელისუფლებასთან დიალოგი და დისკუსია შესაძლებელი გახდა. ახალ რეალობასთან ერთად ახალი პოლიტიკური პერსპექტივები გამოჩნდა როგორც მსოფლიოს, ისე შევარდნაძის სამშობლოსთვის.

თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადის პერიოდში რონალდ რეიგანი ხუთჯერ შეხვდა მიხეილ გორბაჩოვს.[35] პირველად, 1985 წლის 19 ნოემბერს ჟენევაში;[36] ბოლოს კი 1988 წლის ივნისში, მოსკოვში. წითელ მოედანზე რეიგანმა განაცხადა, რომ აღარ განიხილავდა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერიად“.[37] ეს იყო სამი მსოფლიო ლიდერის პროგრესული თანამშრომლობის გადამწყვეტი შედეგი, რასაც სრულიად ახალი

BRAMS 2024 Nov ISSN 2667-9299 (print)
Volume 5, Issue 11 ISSN 2960-9348 (online)

მსოფლიოსაკენ უნდა წაეყვანა „ცივი ომის“ თამაშებისგან გათავისუფლებული სამყარო,[38] სულ სხვა, ახალი „თამაშები“ რომ არ დაწყებულიყო.

თავისი პრეზიდენტობის პირველი ვადის (1981-1984) პერიოდში რონალდ რეიგანმა:

1. ომი გამოუცხადა ნარკოტიკებს და პროფკავშირებს;
2. გადაიტანა მკვლელობის მცდელობა: სულ ორიოდ თვე იყო გასული ინაუგურაციიდან, რომ ამერიკის მე-40 პრეზიდენტზე თავდასხმა განხორციელდა. მას იცნობდნენ როგორც ჰოლივუდის მსახიობსა და კალიფორნიის ყოფილ გუბერნატორს. ჯერ არავინ იცოდა, რომ რეიგანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი გახდებოდა და აღმავლობის გზით წაიყვანდა ზესახელმწიფოს. 2 წამში 6 გასროლა, მაგრამ... 70 წლის პრეზიდენტი სასწაულით გადაურჩა აღსასრულს. მისი დაბრუნება კონგრესში ტრიუმფალური იყო: შეხვდნენ როგორც გმირს და მისი პოპულარობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ადამიანური თანაგრძნობისა და თანალმობის ტალღამ მას განუმტკიცა რესპუბლიკელთა მხარდაჭერაც და დემოკრატთა თანადგომაც მოაპოვებინა გრანდიოზული გეგმების განხორციელების საქმეში, როგორც ეკონომიური აღმავლობის, ისე საგარეო პოლიტიკისა და ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების თვალსაზრისით.

მეორე ვადით პრეზიდენტობის პერიოდში რონალდ რეიგანმა და მიხეილ გორბაჩოვმა ხელი მოაწერეს „საშუალო და მცირე მანძილის რაკეტების ლიკვიდაციის“ შეთანხმებას, რითაც „ცივი ომის“ ორი მთავარი ფიგურანტის ბირთვული არსენალი მნიშვნელოვნად შემცირდა. რეიგანის პრეზიდენტობის ბოლო წლებს

BRAMS 2024 Nov
Volume 5, Issue 11
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაემთხვა საბჭოთა კავშირის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური დასუსტება-დაკნინების პერიოდი.

1989 წლის 11 იანვარს რონალდ რეიგანმა ამერიკელი ხალხისადმი თავის გამოსათხოვარ მიმართვაში[39] განაცხადა: „თუკი დავივიწყებთ, რა გაგვიკეთებია, მაშინ არ გვეცოდინება ვინ ვართ. გაფრთხილებთ, ამერიკული მეხსიერების განადგურებას, საბოლოო ჯამში, შეუძლია მიგვიყვანოს ამერიკული სულის გაქრობამდე“.[40]

ბერლინის კედელი რეიგანის მიერ პრეზიდენტობის დატოვებიდან 10 თვეში დაინგრა.[41] დატოვეს მხოლოდ მისი მცირე, სიმბოლური ნაწილი. აშშ-ის მე-40 პრეზიდენტის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვიდან სულ რაღაც სამიოდ წელიწადში კი, 1991 წლის 26 დეკემბერს, საბჭოთა კავშირიც დაიშალა.[42]

„რონალდ რეიგანი იყო პრეზიდენტი, რომელსაც სწამდა მარადიული ფასეულობები“, წერდა და არგუმენტირებულად ასაბუთებდა ამ დებულებას პროფ. ვასილ კაჭარავა თავის უკანასკნელ მონოგრაფიაში, „რონალდ რეიგანი და მისი ათწლეული“.[43]

ლიტერატურა ▫ References

1. რეიგანი რონალდ (2011). ამერიკული ცხოვრება (ავტობიოგრაფია), თარგმნა თამარ ჭილაძემ. სერია: ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო, ტომი 17. თბილისი: გამომცემლობა ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. // Reagan, Ronald (1990), *An American Life: The Autobiography*, New York, NY: Simon & Schuster.
2. კონსერვატიული რევოლუცია, სერიიდან: XX საუკუნის ისტორია Time, (2014), თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“.
3. The Wall Street Journal [https://www.wsj.com]
4. National Review [https://www.nationalreview.com]
5. Shirley, Craig (2024), *The Search for Reagan: The Appealing Intellectual Conservatism of Ronald Reagan*, Brentwood, TN: Post

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Hill Press. // Рейган Роналд, Тэтчер Маргарет (2014), *Англосаксонская мировая империя*, «Алгоритм».
6. 1981 წლის 20 იანვარი, იხ.: HISTORY.com Editors (2009, November 24). Iran Hostage Crisis ends. *History* [https://www.history.com/this-day-in-history/January-20/iran-hostage-crisis-ends]
7. Miller Center (1983, March 8). *"Evil Empire" Speech*. University of Virginia. [https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/march-8-1983-evil-empire-speech]
8. კაჭარავა ვასილ (2011). ამერიკა 1950-იან წლებში: ეიზენჰაუერივით კონსერვატიული და მონროსავით მომხიბლავი. თბილისი: გამომცემლობა „კლიო".
9. Reagan Presidential Library & Museum (1964, October 27). *A Time for Choosing* [Transcript]. [https://www.reaganlibrary.gov/reagans/ronald-reagan/time-choosing-speech-october-27-1964]; [https://www.youtube.com/watch?v=_VBtCMTPveA]
10. Benge, Janet, and Geoff Benge (2010), *Ronald Reagan: Destiny at His Side* (Heroes of History series), Leeds, England, UK: Emerald Books.
11. Smith, Jean Edward (2013), *Eisenhower in War and Peace*, New York, NY: Random House Trade Paperbacks.
12. Farrell, John A. (2018), *Richard Nixon: The Life*, New York, NY: Vintage.
13. Gruner, Ronald (2022), *We the Presidents: How American Presidents Shaped the Last Century*, Winchester, Hampshire, UK: libratum.press.
14. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: BRAMS Institute Press & Publishing House Universal, pp. 100-116 (In Georgian).
15. კაჭარავა ვასილ (2018). ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია: 1877-2008 წლები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
16. Boles, John B. (2017). *Jefferson: Architect of American liberty*. Basic Books.
17. The Woodrow Wilson Presidential Library & Museum. *About Woodrow Wilson* [https://www.woodrowwilson.org/about-woodrow-wilson]
18. კაჭარავა ვასილ (2011). ამერიკა 1950-იან წლებში: ეიზენჰაუერივით კონსერვატიული და მონროსავით მომხიბლავი. თბილისი: გამომცემლობა „კლიო".
19. იქვე.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

20. Nadare, Maia (2011). *The media and political image*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 441 (In Georgian).
21. Nadare, Maia (2008). *Breaking the fourth wall*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 410-411 (In Georgian) [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/560174/1/Meotxe_Kedlis_Ngreva_2008.pdf]
22. Miller Center (1987, June 12). *Address from the Brandenburg Gate (Berlin Wall)*. University of Virginia. National Archives. [https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/june-12-1987-address-brandenburg-gate-berlin-wall]
23. Heritage Foundation [https://www.heritage.org]
24. Loris, Nicolas (2019). The Institute for Economic Freedom: 2019 annual report, principled leadership in a challenging world. Heritage.org [https://www.heritage.org/annual-report-2019/institute-for-economic-freedom/]
25. Nobel Prize. (1991). *Mikhail Gorbachev, Nobel Peace Prize 1990: Prize motivation: "for the leading role he played in the radical changes in East-West relations"*. [https://www.nobelprize.org/prizes/peace/1990/gorbachev/facts/]
26. Britannica Editors (2024, March 8). *perestroika*. Encyclopedia Britannica [https://www.britannica.com/topic/perestroika-Soviet-government-policy]
27. De Graff, Dachi (2022), *In the Fog of War*, Tbilisi: BRAMS Institute Press & Publishing House Universal, pp. 12-14 (In Georgian and English).
28. Inboden, William (2022), *The Peacemaker: Ronald Reagan, the Cold War, and the World on the Brink*, Dutton.
29. ვილი ბრანდტი (გერმ. Willy Brandt) – ნამდვილი სახელია ჰერბერტ ერნსტ კარლ ფრამი; გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის ბუნდესკანცლერი (1969-1974) სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, დასავლეთ ბერლინის მერი (1957-1966), ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი (1966-1969). იგი ითვლება ახალი აღმოსავლეთის პოლიტიკის ერთ-ერთ ავტორად, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა „ცივი ომის" გამო გახლეჩილი სამყაროსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს შორის დიალოგის განახლება. ვილი ბრანდტი ნობელის პრემიის 1971 წლის ლაურეატია მშვიდობის დარგში.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

30. შევარდნაძე ედუარდ (2018). ფიქრი წარსულსა და მომავალზე (მემუარები), მეორე გამოცემა. თბილისი: ნეოსტუდია.
31. Reagan Library (1985, September 27). *President Reagan's meeting with Foreign Minister Eduard Shevardnadze* [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=d--wEoSgwzg]
32. შევარდნაძე ედუარდ (2018). ფიქრი წარსულსა და მომავალზე (მემუარები), მეორე გამოცემა. თბილისი: ნეოსტუდია.
33. Eduard Shevardnadze Center. *Shevy and Reagan* [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=n6na3ED49a8]
34. შევარდნაძე ედუარდ (2018). ფიქრი წარსულსა და მომავალზე (მემუარები), მეორე გამოცემა. თბილისი: ნეოსტუდია.
35. Reagan Library (1987, December 8). *President Reagan meeting with Mikhail Gorbachev in the Oval Office* [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=X0zfLBpVN8g]
36. Reagan Library (1985, November 19). President Reagan and Mikhail Gorbachev arrival at the Geneva Summit [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=0qOGj0iQ5hw]
37. Reagan Library (1988, May 31). *President Reagan walking in Red Square with Mikhail Gorbachev, Moscow* [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=LZUu5WraroM]
38. The Last Days of the USSR (2010). Directed by Jean-Charles Deniau and Sergey Kostin, ROCHE Productions.
39. Reagan Library (1989, January 11). *President Ronald Reagan's farewell address to the nation* [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=FjECSv8KFN4]
40. De Graff, Dachi (2022), *In the Fog of War*, Tbilisi: BRAMS Institute Press & Publishing House Universal (In Georgian and English), p. 56.
41. DW History and Culture (1989, November 9). *A people takes its freedom* [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=h6zAnVHdxPs]
42. CBS News (1991). *From the archives: Mikhail Gorbachev resigns, USSR falls* [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=vAiI40MkfL0]
43. კაჭარავა ვასილ (2023). რონალდ რეიგანი და მისი ათწლეული: ამერიკა 1980-იან წლებში. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

44. Kengor, Paul (2005), *God and Ronald Reagan: A Spiritual Life*, New York, NY: Harper Perennial.
45. Meacham, Jon (2019), *The Soul of America: The Battle for Our Better Angels*, New York, NY: Random House.
46. Reagan, Ronald (2022), *The Greatest Speeches of Ronald Reagan*, Second Edition, New York, NY: Humanix Books.
47. Reagan, Ronald (2020), *The Heart of a Great Nation: Timeless Wisdom from Ronald Reagan*, New York, NY: Penguin Publishing Group.
48. Reagan, Ronald (2011), *The Notes: Ronald Reagan's Private Collection of Stories and Wisdom*, New York, NY: Harper.
49. *Ronald Reagan: A Life from Beginning to End* (Biographies of US Presidents series) (2017), Hourly History, North Charleston, CA: CreateSpace Independent Publishing Platform.
50. Reagan, Ronald (1990), *An American Life: The Autobiography*, New York, NY: Simon & Schuster.
51. Рейган Роналд, Тэтчер Маргарет (2014), *Англосаксонская мировая империя*, «Алгоритм» [https://loveread.ec/contents.php?id=43778].

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)